2021 წლიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. ვარ ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და სარევიზიო კომისიების წევრი, ამასთანავე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს საქმიანობა:

2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 15 საკრებულოს სხდომა, მათგან დავესწარი - 14-ს.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს სხდომებზე განვიხილეთ - 105 დადგენილება და 615 განკარგულება’

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 18 უმრავლესობის სხდომა, რომლებზეც განვიხილეთ 26 საკითხი;

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში 2022 წლის 1 ოქტომბრიდან მ/წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარებულ იქნა 19 სხდომა .

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 282 საკითხი.საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 374 ცვლილება (დადებითი 358, გადაიდო 6).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 199 (215 დადებითი, 1 გადადებული)

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 58 პროექტი.

ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ გაიცა 16 თანხმობა (განკარგულება).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 9 პროექტი.

ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 24 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

სარევიზიო კომისია

№3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, დამტკიცებული გეგმა მოიცავს 14 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის სსიპ-ების, ააიპ - ების და შპს - ების შემოწმება შერჩევითი მეთოდით.
შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება კომისიის სხდომაზე.
სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.
სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განსახილველად.
სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 18 ორგანიზაცია.
11 ორგანიზაციაში შემოწმების შედეგად, სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები და განხილული იქნა სარევიზიო კომისიის სხდომაზე.
7 ორგანიზაცია ამ დროისთვის იმყოფება შემოწმება/განხილვის ეტაპზე;
შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები.

მაჟორიტარული საქმიანობა, რომელიც თავის მხრივ იყოფა 5 ნაწილად:

1. **მოქალაქეთა მიღება;**
2. **გასვლითი შეხვედრა მოსახლეობასთან;**
3. **წარმომადგენლობის ფუნქციონირება;**
4. **სოციალური ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;**
5. **რაიონის განვითარებაზე ზრუნვა;**

მოქალაქეთა მიღება

- საანგარიშო პერიოდში ყოველკვირეულად ვატარებდი მოქალაქეთა მიღებას ჩემს წარმომადგენლობაში - ორ მისამართზე;
- სულ ჩატარდა 40 მოქალაქეთა მიღება;
- ინდივიდუალურად შევხვდი 1000-მდე მოქალაქეს;საანგარიშო პერიოდში ყოველკვირეულად ვატარებდი მოქალაქეთა მიღებას ჩემს წარმომადგენლობაში - ორ მისამართზე;
- სულ ჩატარდა 40 მოქალაქეთა მიღება;
- ინდივიდუალურად შევხვდი 1000-მდე მოქალაქეს;

გასვლითი შეხვედრები

მოსახლეობის მომართვის საფუძველზე ჩავატარე 60-მდე გასვლითი შეხვედრა სხვადასხვა ლოკაციაზე.დაისახა გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის გზები;

შეხვედრები შეეხებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს:

- ინფრასტრუქტურულს
- კეთილმოწყობას;
- სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას და ა. შ.

წარმომადგენლობის ფუნქციონირება

ჩემი წარმომადგენლობები ფუნქციონირებს ყოველ სამუშაო დღეს: ი. ვეკუას ქ. N16ა და ილორის ქ. N10

ჩემს წარმომადგენლობას ყოველდღიურად სტუმრობს ათეულობით მოქალაქე და ეწევათ შესაბამისი კონსულტაცია/ დახმარება;

ღონისძიებები

სისხლის უანგარო დონაცია

სისსაქართველოს ჯანმრთელობის ფედერაციასთან თანამშრომლობით, საანგარიშო პერიოდში 2-ჯერ ჩავატარეთ სისხლის უანგარო დონაციის აქცია;

ადგილობრივი ორგანიზაციების თანამშრომლებმა და მოხალისეებმა მოისმინეს სემინარი სისხლის დონაციის შესახებ;

100-მდე ადამიანმა უანგაროდ გაიღო სისხლი;ხლია უანგარო დონაცია

ოქროს მედალოსნების დაჯილდოება

ღონისძიებაზე გლდანის რაიონის 265 ოქროს მედალოსანი მოსწავლე დავაჯილდოვეთ;

დასუფთავების აქციები

10 მისამართზე ჩავატარეთ დასუფთავების აქცია; დასუფთავების აქციებში მონაწილეობას იღებდნენ მოხალისეები, თბილსერვისის თანამშრომლები და საჭიროების შემთხვევაში სპეც. ტექნიკა

გამწვანების აქციები

დედაქალაქის მერიასთან თანამშრომლობით გლდანის რაიონში სხვადასხვა ლოკაციებზე ჩავატარეთ გამწვანების აქცია. მათ შორის ჩატარდა საჯარო სკოლებში, სადაც ხე-მცენარეების დარგვაში მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.

უფასო სტომატოლოგიური აქციები

ნიუ ვიჟენ - Health hub-თან თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ 2 უფასო სტომატოლოგიური აქცია;

უფასო სამედიცინო აქციები

სოციალური აქციის ფარგლებში გლდანის რაიონში მცხოვრებმა ასობით სოც. დაუცველმა და შშმპ მოქალაქემ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მედი-group - თან თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში ჩავატარეთ 3 უფასო

სამედიცინო აქცია;აქციის ფარგლებში გლდანის რაიონში მცხოვრებმა ასობით სოც. დაუცველმა და შშმპ მოქალაქემ მიიღო უფასო სამედიცინო მომსახურება;

- ექიმთან კონსულტაცია;
- ლაბორატორიული კვლევა;
- ინსტრუმენტული კვლევა;მიიღო უფასო სტომატოლოგიური მომსახურება;

კონცერტი

ვაჟა აბაშიძის სახელობის საქართველოს დამსახურებული ანსამბლის "ბარაკონი"-ს, ფოლკლორული ბენდი „ეთნოსი"-ს და „ჩირაღდანი"-ს დახმარებით "სანდრო ახმეტელის დრამატულ თეატრში" ჩავატარეთ კონცერტი.

ღონისძიების საპატიო სტუმრები გახლდნენ მოხუცთა პანსიონატი "ბარბარე"-ს ბენეფიციარები.

საახალწლო სოფელი

გლდანის არსებობის ისტორიაში პირველად მოეწყო საახალწლო სოფელი, რომელიც ყველა ასაკის ადამიანის თავშეყრის ადგილი გახდა;

საახალწლო დღეებში ჩავატარეთ ღონისძიებების სერია, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ:

- ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები;
- ქორეოგრაფიული ანსამბლები;
- ცნობილი მომღერლები;
- იუმორისტები;
- ანიმატორები;
- ყველა პატარასთვის საყვარელი „ჟირაფი ჟოზე" ;

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვესტუმრეთ გლდანის რაიონში არსებულ ბავშვთა სახლებს და დედათა და შვილთა თავშესაფრებს;

თავშესაფრებში და ბავშვთა სახლებში ბენეფიციარებისთვის სათამაშოები, ტკბილეული და საჭირო პირადი ჰიგიენის საშუალებები მივიტანეთ

სპექტაკლი სოც. დაუცველი ბავშვებისთვის

. თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრთან თანამშრომლობით, სპექტაკლის - "ყინულის დედოფლის" პრემიერაზე მივიწვიეთ გლდანის რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი 100-მდე ბავშვი.

შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან

საანგარიშო პერიოდში ვესტუმრე გლდანის რაიონში არსებულ კერძო და საჯარო სკოლებს.

მცირე სემინარი წარვადგინე თვითმმართველობის მუშაობასთან დაკავშირებით და თვითმმართველობის მუშაობაში მოქალაქეების ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ, რაც ინტერაქციულ რეჟიმში გრძელდებოდა.საინტერესოდ გაგვაოცა სკოლის მოსწავლეთა მაღალმა დაინტერესებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ შესრულებული სამუშაოები

- ინფრასტრუქტურა;
- კეთილმოწყობა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა;
- სპორტი და კულტურა.

კაპიტალურად კეთილმოეწყო 11 მისამართი:

- სოფ.გლდანი, აღმაშენებლის მეხუთე ჩიხი

- სოფ. გლდანი, წყაროს ქუჩა;
- სოფ. გლდანი, გამარჯვების ქუჩა;
- გაბაშვილის 3-ე შესახვევი;
- კალანდაძის ქუჩა;
- ხ.ბორჩალოელის ქუჩა;
- სოფ. გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა;
- სოფ.გლდანი, 26 მაისის ქუჩა;
- თეთრი ტბის 1 ჩიხი
- ბერთუბნის დასახლება, დრანდის ქუჩა
- წყაროთუბნის ქუჩა;

ჯამში გამეგობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა - 3 253 546 ლარი

გზის ფრაგმენტული და ორმოული შეკეთება

გლდანის რაიონში გზის ფრაგმენტული და ორმოული შეკეთება განხორციელდა 72 მისამართზე;

ჯამში გამგეობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 1 754 138 ლარი;

წყალარინების ქსელი მოეწყო 5 მისამართზე:

- გიორგიწმინდა, ჭავჭავაძის ქ;
- ჭიჭინაძის ქუჩის მონაკვეთი;
- ყაზბეგის ქუჩა;
- ჩოლოყაშვილის ქუჩა;
- მუხიანი 2, სამეგრელოს ქუჩა;

ჯამში გამეგობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა - 956 965 ლარი

მოხრეშვა და სანიაღვრე ქსელი

სანიაღვრე ქსელი მოეწყო 3 მისამართზე:

- სოფ. გლდანი, წყაროს ქუჩა;
- კალანდაძის ქუჩა;
- ხ.ბორჩალოელის ქუჩა.

ამ მიმართულებით - ჯამში გამეგობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა - 159 600 ლარი

მოიხრეშა 2 მისამართი -

მოხრეშვის სამუშაოებზე დაიხარჯა - 223 989 ლარი

გლდანის რაიონში სკვერი მოეწყო 9 მისამართზე:

- გლდანის 8 მ/რ, კორპ. 4-ის მიმდებარედ
- გლდანის 3 მ/რ, კორპ. 85-ის მიმდებარედ
- გლდანის 3 მ/რ, კორპ. 69-ის მიმდებარედ
- გლდანის 2 მ/რ, კორპ. 25-ის მიმდებარედ (მიმდინარეობს)
- გლდანულა, კორპ. 2 – 2ა
- წყაროს ქუჩა;
- გლდანის 7 მ/რ, კორპ. 6ა-ის მიმდებარედ;
- მუხიანი 2 მ/რ, კორპ. 9-ის მიმდებარედ;
- ლიბანის ქ. 1 ჩიხი, N2-ის მიმდებარედ (მიმდინარეობს);

გლდანის რაიონში სკვერების მოწყობის მიზნით ჯამში დაიხარჯა - 3 247 305,55 ლარი.

3 მიკროს პარკი იყო ყველაზე მასშტაბური მიმდინარე წელს ამ მიმართულების განხორციელებუილი სამუშაოებიდან - გლდანის გამგეობის მიერ.

- განთავსდა ბავშვთა გასართობი ზონები
- მოსასვენებელი პავილიონები, კალათბურთის მოედანი;
- ველობილიკი და ფიტნეს სივრცე;
- დაირგო 469 სხვადასხვა სახეობის ხე, 396 ბუჩქი და დაიგო ბალახი;

დედაქალაქის მერიის მიერ მოეწყო ავჭალა-კონიაკის პროექტი

- 4 კმ-მდე ველობილიკი;
- სკეიდპარკი;
- გასართობის სივრცეები;
- სატრენაჟორო სივრცეები;
- ბავშვთა გასართობი სივრცეები ;
- ჯამში 52 000 კვადრატულ მეტრზე მეტი გამწვანებული სივრცე;

სპორტული მოედნები მოეწყო 4 მისამართზე:

- 3 მ/რ კორპ. 85-ის მიმდებარედ (კალათბურთის მოედანი);
- 8 მ/რ, კორპ. 29-ის მიმდებარედ (კალათბურთის მოედანი);
- გიორგიწმინდას დასახლება, აღმაშენებლის ქ. (საფეხბურთო მოედანი);
- ჯაბიძის ქუჩა (საფეხბურთო მოედანი);

სპორტი და კულტურა

2023 წელს ჩატარდა კულტურული , სპორტული და საგანმანათლებლო 5 ღონისძიება.

- ინტელექტუალური კონკურსი - რა? სად? როდის?
- სპორტული ტურნირი ,,გლდანის თასის მინი ფეხბურთში 2023„;
- სპორტული ტურნირი ,,გლდანის თასი კალათბურთში 2023„;
- სასწავლო წლის დასრულებისადმი მიძღვნილი საბავშვო-გასართობი ღონისძიება და კონცერტი;

- აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად დაიხარჯა 64 813 ლარი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები - 52 მისამართზე;
- კიბე და შიდა ინფრასტრუქტურა - 33 მისამართზე;
- მეტალის კარი - 10 მისამართზე;

- სახურავისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციის სამუშაოები - 76 მისამართზე;
- სართულშუა ნაპრალების შეკეთება - 11 მისამართზე;
- წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის მოწყობის სამუშაოები - 32 მისამართზე;

სოციალური პროგრამები

სულ დახმარება გაეწია - 10 569 მოქალაქეს

სამედიცინო მომსახურების დაფინანსება - 3458 მოქალაქეს (926 510 ლარი);

მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 5000 მოქალაქეს (692 696 ლარი);

მატერიალური დახმარება - 2 111 მოქალაქეს (409 365 ლარი);

ამ მიმართულებით გამგეობის ბიუჯეტიდან დახარჯულია - 2 028 571 ლარი;